# სახალხო გაზეთი

№ 1128 შაბათი, 1 მარტი 1914 წ. № 1128

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედონი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლიერ პარაკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება
**სურათებიანი დამატება**
(კვირაობით).

**პრემიად** 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

**პირველი წიგნი:** „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5 მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

**მეორე წიგნი:** „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

**მესამე წიგნი:** „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წლიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № მაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. | 7. 50 | 6. 75 | 6 | 5. 25 | 4. 50 | 3. 75 | 3 | 2. 25 | 1. 50 | 75. |

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი: ტფილისსა ტფილისის გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევაში უფასოა.

**სამი აბაზი** უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ **ნაწილობით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:** 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.
2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.
**ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.



ეკატერინე იაგორის ასული და მარიამი ზაქაროვისა, ვანო მოსეს ძე, სოფიო და ოლღა გეურქას ასული სააკოვისა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველი თვის მეუღლის, მეორე თავის შვილის, მესამე სიმამრიშვილის და მეოთხე ძმის

**ცაკან გეურქას ძე ზაქაროვის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი შაბათს საღ. 7 ს. გამოსვენება კვირას, დილით 10 ს. სურფ-გეურქის ეკლესიაში თათრის მოედანზე საკუთარი სახლიდან, სურფ-მინასის ქუჩაზე. 139



ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა აუწყებს თელავის საზოგადოებას, რომ ცნობილ ჟურნალისტის და საზოგად მოღვაწის

**ილია აბრამის ძე ზარაფიშვილის**
(ნადიკვრელის)

გარდაცვალების 5 წლის თავზე გარდახდილ იქნება პანაშვიდი კვირას 2 მარტს თელავის საკრებულო ტაძარში.



გაბრიელი სვიმონის ძე, ოლღა და ბარბარე სვიმონის ასულნი, ეკატერინე გიორგის ასული მარგველაძეები და ივანე გიორგის ძე ჯღენტი თხუცესიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 27 თებერვალს უეცრად გარდაიცვალა პირველის, მეორის და მესამის საყვარელი ძმა, მეოთხის მაზლი და მეხუთის ცოლის ძმა.

**დავითი** სვიმონის ძე **მარგველაძე**.

დაკრძალვა 1 მარტს ძველ გავაზის ეკლესიის ეზოში (სოფელ სოფელშიწინანდ ძველი გავაზი). 143.



ტელეფონი ქართული თეატრი № 795.

კვირას, 2 მარტს, 1914 წ. ქართ. დრამ. საზოგ. დასის მიერ ბ. გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: შილლერის ცნობილი ტრაგედია

**ყაჩაღები**

პიესა 5 მოქმ. და 7 სურათად თარგმ. ნ. ავალიშვილისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
დასაწყისი სწორედ საღ. 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.
1078



დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა

სახალხო წარმოდგ. **ხარფუხის სახალხო აუდიტორია** წარ. № 4.
(კლუბის შენობაში)

კვირას, 2 მარტს, 1914 წ., ხარფუხის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**პეპო**

კომ. 3 მოქმედ. სუნდუკიანცისა.
მონაწილეობას მიიღებენ წრის საუკეთესო ძალები.
დასაწყისი ნაშუადღევის 12 საათზე. ადგილების ფასი დაკლებულია.
4 კაპ. 30-მდე. ათი ბილეთი უფასოდ დაეთმობათ უმუშევართ.
მორიგი გამგეობის წევრი **არჩილ შათირიშვილი**.
142. რეჟისორი **ს. პეპანოვი**.



ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში

სამშაბათს, 4 მარტს, სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ დამსახურებული მსახიობის კ. დ. **ყიფიანის** 45 წლ. სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნება

**ხათაბალა**

კომ. 4 მოქმ. სუნდუკიანცისა თარგ. ი. ბაქრაძისა.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი 5 კ. 1 მ—დე.
რეჟისორი **ალ. წუწუნავა**. რეჟ. თანაშ. ალ. გოგუშვილი.
ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის ადმინისტრაცია.
თუ ვინიცობაა სურვილი აქვს ვისმეს რითიმე მონაწილეობა მიიღოს ხსენებულ სადღესასწაულო წარმოდგენაში, გამგეობა გთხოვს, წინადვე აცნობოთ მას ამ მისამართით: მიხეილის პროსპექტი, № 102, გამგეობის კანტორა. 1002



გორის პირველი კერძო

**სამკურნალო**

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**
**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.
**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
**ბრიუკნერი მ. მ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
**მინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.**
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“**. 1088



ელექტრონის, რენტგენის სინათლის

**სამკურნალო**
საწოლი ოთახებით

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ელრა, კორდანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468



**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ქიზიყის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 60 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი ბ. მ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ი. გ.** ყოველ დღე, 11—12<br>**კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2.<br>**კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ვენერიულ. სნეულებ. და კანის. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირის. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კბილ. და ჰიგიენ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია. „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1070



**ახალი კლუბი**

შაბათს, 1 მარტს, 1914 წელსა **საოჯახო საღამო**
პირველი წარმოდგენა ცნობილ ოპერეტკის მეფიდ ცნობილის

**ნ. გ. სევერსკის**

მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: „**მშვენიერი ელენე**“ ახალი ორგინალური დადგმა **გ. გალერიანისა**. დარჩომილი ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. **დასაწყისი საღამოს 8½ ს.**

**ანონსი:** სამშაბათს, 4 მარტს საოჯახო საღამო. **ნ. გ. სევერსკის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ახალი ბოშების გაპიროვნებული რომანსები“ მუსიკალური მოზაიკა **ნ. გ. სევერსკისა**, 8 მარტის წარმოდგენისათვის აღებულს ბილეთებს ძალა აქვს 2 მარტის წარმოდგენისათვის. 1052



**ქართული თეატრი**

კვირას, 2 მარტს, 1914 წ. გაიმართება

**ლექცია**

**ქართულ ენაზე ქ-ნ ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძისა შემდეგ თემაზე:**

„**ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში**“

1. მე-18 საუკუნის მიწურულის და მე-19-ის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა. 2. იდეალური და რეალური ქალი ნ. ბარათაშვილის პოეზიაში. 3. ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“ გმირი, როგორც ხალხის სულის საუკეთესო თვისებათა მატარებელი. 4. ძველი დედების გაიდეალება ი. ჭავჭავაძის და აკაკის ნაწარმოებში. 5. ახალი დროის სიო და ახალი ქალის ტიპის შექმნის ცდა ე. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდი“. 6. ქართველი ინტელიგენტი ქალის „ტიპი“ შიო არაგვისპირელის მოთხრობაში „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“. 7. ქართველი ქალი ქართული პრესის სამსჯავროს წინაშე. 8. დასკვნა. **დასაწყისი დილ. 12 ს.** ფასები 20 კ. 1 მანეთამდე. 1069



**დღეს, 1 მარტს, საღამოს 8 საათზე დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება**

**ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების მორიგი**

**საჯარო კრება**

1 ექ. **ვახტანგ ღამბაშიძე** წაიკითხავს მე-2 ლექციას ბავშვთა აღზრდის საკითხზედ.
2. **ქ-ნი დომინიკა ჩიხლაძე** წაიკითხავს ლექციას: ქართული მონასტრების მნიშვნელობა ქართულ კულტურის ვითარებაში.
კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ. 1090



ქუთაისში

**პ. ოცხელისა და ამხ.**
**წიგნის მაღაზიის მიერ გამოიცემა**
სამეცნიერო და სალიტერატურო კრებული

„**ცხოვრება და მეცნიერება**“

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მხოლოდ უნივერსიტეტის თანამედროვე ძალები.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ყველა წიგნის მაღაზიაში. კრებული დაიბეჭდება მშვენიერ ქაღალდზე და დასურათებული იქნება. წინასწარ ხელის მოწერით ღირება 1 მანეთად. 1065.



**ვაგზლის სამკურნალოში**

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.
**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.
**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.
**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.
**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.
**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.
**ვაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.
ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.
**რჩევის საფასური—50 კაპ.**

**წამლობა „914“.** 1023



**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:**
ჩვენი მწერლობა,

| | |
|---|---|
| განდეგილი. ლექსები ტფ. 1898 წ. 50 კ. | — ოთია მესხი და ბებურიშვილი . . . 10 „ |
| — ლექსები და მოთხრობები 50 „ | — ნათელა 1911 წ. . . . 20 „ |
| გლახაშვილი. თანამედროვე პიესები 1908 წ. . . . 30 „ | — ქართველ. განმ. ნინო . 10 „ |
| — დალი, დრ. 3 მოქმ. 1912 წ. 20 „ | — თამარ მეფე . . . . 5 „ |
| გულისაშვილი ი. ორი პიესა 1895 წ. . . . 50 „ | — ოცნება 1913 წ. . . . 10 „ |
| წერეთელი აკაკი. თხზულებანი ტ. 1-ლი 1893 წ. . 1 მ.— „ | — ვაქრული ჰკუა 1903 წ. 5 „ |
| — ტ. 2-ე „ . 1 მ.— „ | — ბაგრატ დიდი 1911 წ. 10 „ |
| — ჩემი ნაწერები ტ. 1-ლი 1912 წ. . . . 75 „ | — ყვითელი სანთელი 1896 წ. 10 „ |
| — „ „ ტ. 2-ე 1913 წ. 75 „ | — რჩეული ლექსები 1908 „ 10 „ |
| — იგავ-არაკნი . . . . 50 „ | წერეთელი გ. ჩვენი ძველი გმირები ტფ. 1898 წ. . . . 30 „ |
| — თორნიკე ერისთავი 1908 წ. 35 „ | — თხზულებანი ტ. 2-ე 1893 60 „ |
| — ჩემი თავგადასავალი 1903 1 მან. | ჭყონია ილია. ნაწერები ტფ. 1913 წ. . . . 1 მან.— „ |
| — კიკოლას ნაამბობი „ 20 კ. | ქობაქიძე გ. თხზულებანი ქ. 1913 წ. . . . 75 „ |
| — ბაში აჩუკი „ 30 „ | ჭავჭავაძე ალ. ლექსები 1881 წ. 30 „ |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.
1072

**საბურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ იუგენს ან თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

**ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში**

**მუდმივ საწოლებით: სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, ვენერიულ და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათეთრ. მოწყ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1180

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი** ორდინატორად ნამყოფი კიევის ხირურგების კლინიკაში. იღებს სერფებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12; იქვე განათებულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 787.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

**გ. გ. მეგრაბიანცი**

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელექტრონ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბებს წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92 1087

**ექიმი გ. ნ. მაზაკიანი** გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38. შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

**ექიმი პავლე არდაზიანი** შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ნაძალადევში ხუდადოვის ქ., 4.

**ექიმი ი. რ. სურგულაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. 141

ქ. გორში (დოკტორანტი).

**ექიმი გ. დ. წინამძღვრიშვილი** ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სასულთ ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1050


## ქართული პრესა

ოღონდ კი „სიმართლის ხმა"-მ მისგან მოძულებული საქართველოს მიწა-წყალი მილეთის ხალხს გაუბოძოს, ალბად უადრეს ინტერნაციონალიზმის (?) დასამტკიცებლად თუ, და იზად არის თავის მრწამსსაც კი უღალატოს. მას ისე სძულს და ეზიზღება საქართველოს ტერიტორია, რომელიც ქართველ ხალხს ასაზრდოებს, რომ ტერიტორიალიზმის პრინციპის უარყოფაში საკუთარ თავის უარყოფამდე მიდის. აი, რასა სწერს „სიმართლის ხმა":

„ქართველი ნაციონალისტები ხშირად იხსენიებენ პრუსიის პოლონელთა მაგალითს. მერე რას ამტკიცებს ის? რანაირია პოლონელთა მდგომარეობა? პრუსიის მთავრობამ კანონი გამოსცა და ადგილ-მამულის იძულებითი ჩამორთმევა ანუ ექსპროპრიაცია დააკანონა და ამ გზით ცდილობს პოლონელთა გატეხას. მოკლედ, **ეკონომიური მეტოქეობისა და თავისუფალი შეხლა-შემოხლის ნაცვლად ძალადობას იცავენ.** (ხაზი ჩვენია)".

როგორ მოგწონთ მარქსისტი თავისუფალ ეკონომიურ კონკურენციის მქადაგებლის როლში? პრუსია ძალიან ცუდად იქცევა, რომ ძალადობას ხმარობს და პოლონელებს ძალით ართმევს მიწებს, მაგრამ ეს განა იმასა ნიშნავს, რომ პრინციპი თავისუფალი ეკონომიური კონკურენციისა მართალია? რა იქნა თქვენი მარქსიზმი? ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ?

„მათი მიზანია ექსპროპრიაციის უარყოფა და ადგილ-მამულის ალებ-მიცემობაში თავისუფლების აღდგენა",

ბრძანებს „სიმართლის ხმა". თუ ამ თავისუფალ კონკურენციის მსხვერპლი სუსტი და დაჩაგრული ელემენტი ჰხდება, მაშინ რას იტყვით, ახალი მოდის მარქსისტებო? ესეც რომ არ იყოს, განა ეკონომიური ჩაგვრა მხოლოდ აშკარა ექსპროპრიაციის საშუალებითა ჰხდება? იქნება არ მოგეხსენებათ, რომ ყოველ სახელმწიფოს განკარგულებაშია რთული მექანიზმი, „სიმართლის ხმისთანა" გაზეთებისთვის სრულიად უჩინარი, მაგრამ დაკვირვებული ადამიანისთვის ფრიად თვალსაჩინო, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო მშვენიერად ახორციელებს თავის მიზნებს. რუსების გადმოსახლება ეროვნულ შუღლს იწვევს, რადგანაც ქართველ ხალხს მარჩენელი მიწა ხელიდან ეცლებაო, ბრძანებს „სიმართლის ხმა". რათა გგონიათ, რომ ასეთივე შუღლს არ გამოიწვევს სომხების გადმოსახლება, თუ ეს გადმოსახლება ქართველ მშრომელ ხალხს ხელიდან მარჩენელ მიწას აცლის? თუ წინააღმდეგი ხართ პირველისა, წინააღმდეგი უნდა იყოთ მეორისაც. მაგრამ ვინ მოსთხოვს ლოღიკას „სიმართლის ხმა"-ს? გაცილებით უფრო ადვილია აბდა-უბდის როშვა სომხების დევნასა და სხვა ამისთანა რამეებზე, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვს არც ტერიტორიის დაცვის სურვილთან და არც იმ მიზნებთან, რომლებსაც ქართველი ხალხის შეგნებული ნაწილი ისახავს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ზაკ. რეჩის" სახელოვან გმირებს შორის, უეჭველია, ერთი საპატიო ადგილთაგანი ეკუთვნის სკალპელს. ამ რაინდის ვინაობას ჩვენი მკითხველი ცოტაოდნათ იცნობს. მისი ზოგიერთი საგმირო სიტყვა და პოლიტიკური მისწრაფება ჩვენ ღვინიშნეთ გუშინწინდელ ნომერში. გ-ს სკალპელს გული სტკენია ჩვენის შენიშვნის გამო და ძალზე გვიჯავრდება, თავისებურად მიწასთან გვასწორებს, მაგრამ სკალპელისთანა გმირების საზოგადო თვისება ხომ ისაა, რომ თავის მოღვაწეობით, სიტყვით თუ საქმით, მოწინააღმდეგეს კი არ ამარცხებენ, არამედ თავის თავს, მათი გმირობა მხოლოდ მათი საკუთარს თავის დამღუპველი და შემარცხვენელია.

გ-ს სკალპელს არც იმდენი ძალა და გამბედაობა შესწევს, რომ სათქმელი პირდაპირ გვითხრას; ლონგ-აიერის ედება, ამერიკასა და შვეიცარიის წვლება, არგენტინის რესპუბლიკაში გარბის და ახალ მოდურს ცეკვას „ტანგოს" ებღაუჭება და შანსონეტური სიმბოლიზმით ლამობს პასუხი გაგვცეს, რომელსაც შემდეგის სამარგალიტო პათეტიურის მონოლოგით ათავებს:

„გაზეთი (იგულისხმიერეთ „სახ. გ.". მეპრ.), რომელიც ტფილისში გამოდის, დიდი ხანია ყურადღებას არ აქცევს არაფერს ქართულს (მახლას! „ზაკ. რეჩ."-ელები უნდა გვისაყვედურებდნენ ქართული საქმეების დავიწყებას?! მეპრ.) და თავის მკითხველების მცირე რიცხვს მოუთხრობს ამერიკის შეერთებულ შტატებს და შვეიცარიის კანტონების ამბებს (საცოდავი სკალპელი, როგორ გაუგია გ-ს წერილები! მაგრამ წაიკითხა კი? მეპრ.)...

ორი გუბერნიის მთელმა ქართულმა პრესამ დიდიხანია გამოსთქვა თავისი აზრი ამ გაზეთის შესახებ და უთხრა მას: საუკუნო განსვენება..."

გ. სკალპელ, ჩვენ არ გვაკვირვებს თქვენი პოლიტიკური უვიცობა, არ გვაკვირვებს ის, რომ თქვენ ოდნავად არ შეგიძლიათ შეიგნოთ და შეითვისოთ ჩვენი სოფლ-მეურნეობა, არ გვაკვირვებს ისიც, რომ თქვენი იარაღი ჩვენს წინააღმდეგ ამართული ყოველთვის სინამდვილეს დამახინჯება იყო, მაგრამ აშკარა ტყუილის დაწერას მაინც უნდა მორიდოთ, ცოტათი, მაინც უნდა შეიწუხოთ თავი, ჩაიხედოთ თქვენი გაზეთის კანტორის გამგის ბუხგალტერიაში: იგი გეტყოდათ უტყუარ ციფრებს თქვენი გაზეთის და ჩვენი გაზეთის მკითხველებს რიცხვის შესახებ. ეგ გამგე ხომ ამავე დროს ტფილისის გაზეთებს პროვინციაში გამგზავნი აგენტია!.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **შითევესულ სახლის ჩამონგრევის გამო.** ქალაქის გამგეობას საბჭოს 3 მარტის კრებაზე წინადადება შეაქვს, მისცეს 25.000 მან. სახლის ჩამონგრევის დროს დაღუპულ დანიელიანცის ოჯახობას და 6,500 მან. დაშავებულ მსახიობს ვიქტორ მატარაძეს.

✦ **წესიერი დასვენება.** სახელოსნო დაწესებულებებში წესიერ დასვენების სავალდებულო დადგენილებათა პროექტი, რომელიც ქალაქის საბჭომ შეიმუშავა, გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა.

✦ **ქალაქის სასკოლო კომისია** თავჯდომარეს დღეს აირჩევს.

✦ **ბავშვთა თავშესაფარი.** კვირას, 2 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, დიდუბეში (დიდუბის ქ. 21) ჩაჰყრიან და აკურთხებენ ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების მეორე თავშესაფარის საძირკველს.

✦ იოანე ნათლიმცემლის წინამძღვარის არქიმანდრიტ ნაზარის შუამდგომლობით სინოდალურმა კანტორამ ამ მონასტრის ხაზინადრად შუამთის მონასტრიდან ხაზინადრის თანაშემწე მღვდელ-მონაზონი იოსები გადმოიყვანა, ხოლო მის ადგილას იოანე ნათლიმცემლის მონასტრის ხაზინადარი მღვდელ-მონაზონი მიხეილი. მღვდელ-მონაზონმა იოსებმა კანტორას სთხოვა, ისევ შუამთის მონასტერში დაეტოვებინათ. კანტორამ მისი თხოვნა შეიწყნარა და იოანე ნათლიმცემლის მონასტრის ხაზინადრად ისევ მღვდელ-მონაზონი მიხეილი დასტოვეს.

✦ **„კოოპერაცია".** ჩვენ მივიღეთ განახლებულის საკოოპერაციო ყოველ-კვირეულის გაზეთ „კოოპერაციის" პირველი ნომერი. გაზეთი კარგის სახითაა გამოცემული, დაბეჭდილია სუფთად და შეიცავს მრავალს ცნობას. სასურველია ფრიად, რომ გაზეთმა ნიადაგი მოიპოვოს ხალხში და გავრცელდეს.

✦ **დაშეულთა დახმარება.** დეპეშათა სააგენტო პეტერბურგიდან იუწყება, ჩასურსათო თათბირმა ქუთაისის გუბერნატორთან გასაგზავნად გადასდო 762,639 მანეთი სათესლეს სასყიდლად და საქონლის საკვები.

✦ **რედაქციამ მიიღო** ზ. ქიქინაძის გამოცემული ახალი წიგნი „საქართველოს ცხოვრება (1469—1800 წ-დე) შედგენილი ბატონიშვილის ვახუშტის მიერ. წიგნი 402 გვერდიანია, შიგ ჩართული აქვს 32 სურათი და ერთ მანეთად ღირს.

✦ **ლექცია.** ხვალ, შუადღის თორმეტ საათზე, ქართულ თეატრში ქ-ნი კრისტინე შარაშიძე წაიკითხავს ქართულად ლექციას „ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში". იმედია ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება ახალგაზდა ლექტორ ქალს, რომელმაც უკვე წაიკითხა თავისი ლექცია ქუთაისში და საერთო თანაგრძნობა დაიმსახურა.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულო** 15 თებერვლიდან აღარ ამოწმებს ჯარში გაწვეულ ახალგაზდებს. შემოწმება განახლდება 1 ოქტომბერს. ვინც 15 თებერვლამდე არ გამოცხადდა, დასჯილ იქმნება რვა თვით ციხეში დატუსაღებით.

✦ **პოლიტეხნიკუმი.** მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სამოსწავლო და სატეხნიკო კომისიის შეერთებულმა კრებამ დაადგინა, „რუსკია ვედომოსტი"-სა და „ნოვოე ვრემია"-ში განცხადებათა მოთავსებით გამოიწვიოს ისეთი პირი, რომელსაც სურს პოლიტეხნიკუმის დირექტორის თანამდებობის დაჭერა. ამავე კრებამ დაადგინა, სთხოვოს უნივერსიტეტების პროფესორებს, დაუსახელონ ისეთი პირნი, რომელნიც მომავალ უნივერსიტეტის პროფესორებად გამოდგებიან. ამ პირთ კომიტეტი სტიპენდიებს დაუნიშნავს საზღვარ-გარეთ სწავლის დასამთავრებლად. სულ რვა სტიპენდია იქნება, თითო 2,400 მან. წელიწადში.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ტფ. „კრუჟოკ"-ის** მამასახლისთა კრება 26 თებერვალს მოხდა ქალაქის გამგეობის წევრის მ. ნ. ათაბეგოვის მონაწილეობით. კრებამ შეიმუშავა პირობანი, რომლითაც „კრუჟოკ"-მა ქალაქისაგან შენობა უნდა იქირაოს გოლოვინის პროსპექტზე.

✦ **ქალაქის სატრამვაიო კომისიის** კრება დღეისთვის არის დანიშნული თავმჯდომარის ასარჩევად.

✦ **საზოგადო კლუბში,** დღეს, საღამოს 8 საათზე დ. კ. გეპშტეინი წაიკითხავს რეფერატს „ჩეხოვის მიწერ-მოწერა". რეფერატის შემდეგ გაიმართება საუბარი და საკონცერტო განყოფილება ქ-ნ ს. სოლოვიოვ-სტრახოვის ხელმძღვანელობით.

✦ **ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების** წევრთა მორიგი საჯარო კრება დანიშნულია დღეისთვის, საღამოს რვა საათზე, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე წაიკითხავს ლექციას ბავშვების აღზრდის შესახებ, ხოლო ქ-ნი დომინიკა ჩიხლაძე შემდეგს თემაზე: „ქართულ მონასტრების მნიშვნელობა ქართულ კულტურის ვითარებაში".

### სასწავლებლებში

✦ **ქართულ გიმნაზიის** მშობელთა წრის დელეგატთა კრება დანიშნულია 2 მარტისთვის, დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში.

### ჭიათურა

✦ ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტში კვირას, 2 მარტს, დღით 12 საათ. ბ. ილია ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციას დავით კლდიაშვილზე.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელს ახალ ამბებში მოხსენებულია, რომ „კახეთის" საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდად 50 მანეთი გადადოვო, **უნდა იყოს 500 მანეთი** და სხვა.

## მადიანი გაზეთები

ჩვენი დღევანდელი გარდამავალი ხანა ბევრს ახირებულს მოვლენას წარმოშობს ხოლმე. ძალზე ახირებული არაა მაგალითად, რომ ჩვენში არსებობს „მიმართულება" უმიმართულებო, გაზეთი უპროგრამო? რამდენს ჩვენებურს ინტელიგენტს შეხვდებით, რომელიც თითქოს გაცხარებით მოღვაწეობს, მუდამ ფაცაფუცშია „აქეთ-იქით დარბის, კრებებს, ესწრება, კომისიებში მონაწილეობას იღებს, კამათობს, დავობს, მაგრამ რომ ჰკითხოთ: რას აკეთებს, რას ემსახურება, სახტად დარჩება და ვერაფერს გიპასუხებთ. ზოგი მათგანი კი აქეთ შემოგედავებათ და კითხვითვე გიპასუხებთ: განა საჭიროა კი ერთი მთლიანი პროგრამაო?

ჩვენში გამოდის ჟურნალი „კლდე" და გაზეთი „თემი", რომელთა პოლიტიკური ვინაობა მეტად ძნელი გამოსარკვევია. რა იდეალების მატარებელია ან ერთი ან მეორე? ვერავინ იტყვის. პირველი გაიძახის: უკიდურესი პოლიტიკური იდეალი მაქვსო, მაგრამ ეს იდეალი მარტო იმით დაამტკიცა, რომ მაგეზროობას მიჰყო ხელი და იდეალის ალაგას წამოასკუპა რაღაც გაუგებარი პოლიტიკა, თითქოს ცხოვრებაში შესაძლებელი იყოს რაიმე პოლიტიკა, განსაზღვრულს იდეალს მოკლებული. მეორე ხშირად ჰყვირის: მემარცხენე ვარო, მაგრამ აქამდის ეს მემარცხენეობა მხოლოდ უკიდურეს უპრინციპობასა და უგეგმობაში გამოიხატა.

გარედან რომ შეხედოთ „თემსა" და „კლდეს", გეგონებათ, რომ ერთი მეორის მტერია, მაგრამ თუ დაკვირებით გასინჯავთ მათ სულიერს თვისებებს, ნათლად დაინახავთ, რომ მათ შორის დიდი მსგავსებაა: ესაა მათი უპრინციპობა, უპროგრამობა, იდეალის უქონლობა. სამაგიეროდ მათ აქვთ ერთი საზოგადო თვისება — მეტად განვითარებული მადა, რომელიც მშვენიერად ახასიათებს „კლდე-თემის" სოციალურს და პოლიტიკურს პიროვნებას და ცხადად აშკარავებს იმ მიდრეკილებას, რომელიც სარჩულად უდევს ამ გამოცემების წარმოშობას და მათ დღევანდელს არსებობას.

ზოგიერთები ეძებენ „კლდის" მაღალის სტილით დაწერილ წერილებში ქართველი ბურჟუაზიის ინტერესების გამოხატულობას. მაგრამ ჩვენის ფიქრით ეს წინასწარი ავანსია უფრო, ვიდრე სინამდვილე. თვითონ „კლდეც" მადიანად ჩაეჭიდა ამ გარედან მიწვდენილს აზრს. მაგრამ ოდნავად არ შესწევს ამის ძალა, მისი ბუნება ვერ ეგუება იმას, რომ სავაჭრო-სამრეწველო წოდების სოციალურ-პოლიტიკური მისწრაფების გამომსახველი იყოს. ამგვარადვე ყალბია და ცრუ გაზეთ „თემის" დემოკრატიულობა და სიმართლის მოყვარულობა: ერთიც და მეორეც ამ საორშაბათო გამოცემისათვის იმდენადაა საინტერესო და საყურადღებო, რამდენად სენსაციური და პიკანტური ხასიათი აქვს; აქ ინტერესი შინაარსისადმი კი არაა, არამედ გარეგნულობისადმი, ფირმისადმი.

„კლდე-თემის" ნამდვილი არსება და სულისკვეთება ჩვენ სულ სხვა სფეროში უნდა ვეძებოთ. სხვა რამ ნათელ ჰყოფს მათ ფიზიონომიას, სხვაა მათი ჭეშმარიტი „მე". ესა, როგორც მოგახსენეთ ზევით, განვითარებული მადა და გემო ახალ-ახალ და უცხო საკვებისა, რაიც უეჭველი ნაშთია თ.-აზნაურულ წოდებრივ თვისებათა. „თემსა" და „კლდეში" საოცარის სიცხადით გამოსჭვივის მომავალი წოდების ფარული, შეუგნებელი ტენდენციები. „კლდე—თემის" მადიანობა საკუთარის ძალის და საზოგადო ვითარების შეგნებით კი არაა გამოწვეული, არამედ იგი წოდებრივობის ინსტიქტიური ნაშთია. თ.-აზნაურობის წარმომადგენლებს დღეს რასაკვირველია, არ შეუძლიათ საგაზეთოდ თავისი წოდებრივი ინტერესები დაიცვან; მათი, წოდებრივ წრეში აღზრდილი, ინტელიგენცია საზოგადო ასპარეზე საქვეყნო დროშით გამოდის, მაგრამ მის მოღვაწეობას აშკარად ამჩნევია წოდებრივი თვისებები. ამგვარის სათავად-აზნაურო ინტელიგენციის მესვეურები არიან „თემი" და „კლდე", რომელთაც ვერავითარი გარკვეული პოლიტიკური და სოციალური გზა ვერ უპოვნიათ და თავს თუ იჩენენ, მხოლოდ იმით, რომ როგორც შეჰფერის ძველს ბატონებს, ყველაფერს ეპოტინებიან, ყველას ედავებიან, ხელს აწვდიან, სადაც მიუწვდებათ და არ მიუწვდებათ.

მადა-გახსნილი „თემისა" და „კლდისათვის" არ არსებობს ნამდვილი ღირებულობა მოვლენისა, არ არსებობს შეგნება რეალურ ძალებისა; მათ ვერ გაუთვალისწინებიათ ის, რომ ყოველი ერის შეგნებული ნაწილის მოღვაწეობა მჭიდროდ უნდა იყოს შეთანხმებული როგორც თვითონ ამ ერის არსებულ ცხოვრებასთან, ისე იმ საერთაშორისო კავშირის ურთიერთობის განწყობილებასთან, რომლის წევრია ეს ერი, რომ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში შეუძლებელია პოლიტიკურ მცნებათა ერთმანეთში დომხალივით არევა, რომ სანამ საზოგადოების მასწავლებლობას იკისრებდე, საჭიროა საანბანო ჭეშმარიტებანი მაინც გახსოვდეს. „კლდე—თემი" იმას კი არ ფიქრობს, რომ ყოველი ნაბიჯისათვის პასუხისმგებელია ქვეყნის წინაშე. ისინი მარტო ერთი რითიმე ხელმძღვანელობენ, ერთი რამ მიუძღვება წინ მხოლოდ მათ მოღვაწეობას: გაშლილი მადა და სურვილი ბევრისა.

მაგრამ შეიძლება მადა იყოს საფუძველი საზოგადოებრივ აზრისა და მისწრაფებისა!? განა სამადო პოლიტიკა წარმოადგენს მიმართულებას? სამწუხაროდ, ასე კითხვაც არ არსებობს „კლდისა" და „თემისათვის". მოიტათ ახალ-ახალი, სენსაციური, პიკანტურიო, გაიძახის ერთი. მოიტათ ბევრი და ბევრიო, ჰყვირის მეორე. ერთი ვითომც ანტიბურჟუაზიულია, მეორე ბურჟუაზიული. მაგრამ ნამდვილად ერთიც და მეორეც წმინდა თავად-აზნაურულია, ბატონურია, გამომსახველი მომავალი წოდების ფარულის სულიერის თვისებებისა! **ს. კ. ქ.**

## ჩვენი უფილოსოფობა

ამას წინად პატარა წრეში კამათი იყო იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ჩვენთვის, ქართველობისათვის, ფილოსოფია. საოცარია! თვით ის გარემოება, რომ ჩვენში ასეთი კამათი შესაძლებელია, ჩვენ სრულ უფილოსოფოსობას მოწმობს.

დაუკვირდეთ ამ საგანს.

მოკამათეთა უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ ჩვენთვის, ეკონომიურად ჩამორჩენილ ერისათვის, ყველაზე უფრო საჭიროა პრაქტიკული ცოდნის, ვაჭრობა-მეურნეობა-მრეწველობის განვითარებაო. კმარა რაც ვიფილოსოფოსეთ: დროა ახლა საქმეს შევუდგეთო.

საოცარი გონებრივი სიბრმავეა. ბევრი განრისხებულია ჩვენში იმის გამო, რომ დღემდის ცუდად ვიფილოსოფოსეთ და იმას კი არა სცდილობს, რომ ჩვენი გონების ძალა გავამტკიცოთ, განვავითაროთ და გავასპეტაკოთ, რათა უკედ ვიმსჯელოთ, არამედ თვით მსჯელობას უარჰყოფს.

ფილოსოფია, ხომ მსჯელობის აზროვნების ერთი უმაღლ... გია, დიდად სა... სოფია არკვევს საზოგადო... დარგიან ცოდნათა შინაგ... ბულებას, დედა-აზრს, ... ბას, საერთო კავშირს და ... იკვლევს იმას, რის შემძლ... არ შეუძლია ადამიანის გ... როვნების ასპარეზზე: რა ... მიანის დანიშნულება ამ ... ფლში? რისთვის იბადება, ... ხლობს ადამიანი? რა არის ... ლე და სიკვდილი?

ამ დროს გვესმის: ჩვენი ... სი დანიშნულება—ეკონომ... ლონიერებაო. ეს იმას ნი... ერი ხალხი ვართ, უნდა ს... შოვოთ, შიმშილი მოვ... ძღეთ; ამისათვის კი არ... ლოსოფია არ არის საჭირ...

გვავიწყდება ერთი რამ: ეკონომიურად გ... მხოლოდ იმ ერს შეუძლ... ლიც ყველა დარგში კარ... ჰქრიახად და ღრმად მსჯელ... ვალმხრივად განვითარებულ... ნის მთელ ასპარეზზე ნი... მრავალ-მხრივი განვითარ... მობს, რომ მოწინავე ერ... რტია ამ სოფლის რთულ... ბა, გაუწვრთნია და გაუ... თავისი გონების ძალნი.

ამას ნათლად მოწმობს ქვეყნის—ინგლისის მაგა... ლამ კარგად ვიცით, რომ ... დღეს შედარებით ყველა... თავისუფალ ქვეყნად ით... ლოდ იმიტომ, რომ ინგლ... როგორც პოლიტიკურ ... ში, ისე ცოდნის სხვადასხ... შიაც გონების ღრმა მრა... ვობა განავითარეს.

რათა არ დავიფანტოთ, მაგალითად, ცხოვრების ერ... დარგი და დაუკვირდეთ ... კავშირი აქვს მას ადამიან... ნასთან და ამ ცოდნის ფი... ასთან საზოგადოდ.

შევეხოთ მაგალითად ... თულ მწერლობას და გამო... მისი ცალმხრივობის მიზე...

ჩვენი ეკონომიური გამო... მომხრენიც დაგვეთანხმებ... ჩვენი მწერლობა ღარიბი, ... ვია და მას გაღრმავება, ... ბა სჭირია. სად ვეძიოთ ... საჭირო ძალნი. თუ ვიტ... ჯერ უნდა გავმდიდრდეთ, ... დეგ ავაყვავებთ მწერლობ... შიან ხომ ჩვენი ხვედრი ... დუმილი იქნება. უნდა ... არ უნდა ვეძიოთ ჩვენი ... სისუსტის მიზეზი, არ უნდ... ნოთ ჩვენი დასნეულებ... ლობა, რადგან ჩვენ გამდი... მას არაფერი ეშველება.

კარგად რომ დაუკვირ... მწერლობას, ნათლად ... რომ იმისი სისუსტე—ა... სისუსტეში, უფილოსოფო... ხატება. რადგან ცხოვრებ... დარგში ვკოჭლობთ, ეს ... ჩვენს მწერლობაშიაც ... რასაკვირველია.

ჩვენი მხატვრული მწერ... პოეზია იმიტომაა სუსტი, ... ქართველებს, არ გვაინტერ... ლოსოფია—ადამიანის ცო... ზღვრებისა და სიკვდილ-სი... შინაგანი ვითარების სა... ფრთოვანების ღრმა წყარ... ნაც ჩქეფს ნამდვილი ... რი ნაწარმოების ძლიერე... რების უდიდესი საკითხე... წყვდიადში იმალება. მხოლ... მიანს, რომელმაც გადაწყ... კითხი სიცოცხლის შინაგ... შესახებ, შეუძლიან ამ ... ცხოვრების მხატვრული ... რაც უფრო ღრმაა, მის... ცოცხლის იდეის შეგნება, ... რო დიდი ძლიერებით მო... ბა მისი მხატვრული შე... ძლიერი მხატვრობის შემ... ერი ფილოსოფიაა.

სხვაფრივ მხატვრობის ... ახსნა შეუძლებელია. მხ... ადამიანს, იმ მხატვარს ... რომელმაც შეიგნო, თუ ... ჩვენ ცხოვრებაში. ფუქი, ... და რა არის საუკუნო, ... შეუძლია ამ ათასფრად ... წუთისოფელში გზის გაკ... ხელთა აქვს უტყუარი ... უძლია ამოკრიფოს ცხო... პარეზიდან დიადი, საუკ... განი ვითარების შემცველ... ნანი, რომელნიც ჰქმნიან ... წინ-სვლას ადამიანისა. ... განსჭვრეტს იმ იდუმალ ... წყაროს, სადაც განახლ... სჩქეფს. მისი შემოქმედება ... მარიტი მხატვრული, ... ნია. ამ მხატვარ-მწერლის ... ხატულ ცხოვრების ...

სურათის შუა-ალაგას, მის ცენტრ-ში, განახლების ძალით მოსილი ადამიანი იქნება. ამ ადამიანის მოქმედება, ფიქრი და გრძნობა, ბრძოლა თავის მრწამსის დასამკვიდრებლად ამ წუთი-სოფელში — მთელ სურათს, მთელ მხატვრულ ნაწარმოებს ნათელს ჰფენს. ეს იქნება უდიდესი ლამპარი, ძლიერი კანდელი, მის გარეშემო აფუსფუსებული, ცხოვრების მანათობელი.

ცენტრალური, შუა-გული ღრმა იდეა, აზრი, ამ აზრის მატარებელი და მისთვის მებრძოლი ადამიანი იქნება უტყუარი საზომი მის გარეშემო მოფუსფუსე ადამიანთა შინაგანი ღირსების დასაფასებლად. როცა ვიცით ვინ და რა არის უმაღლესი, მხოლოდ მაშინ გვესმის ვინ და რა არის დაბალი, მცირე, მნიშვნელოვანი.

ამგვარად იბადება ეგრედ-წოდებული ჭეშმარიტი მხატვრული პერსპექტივა, ნაწარმოების შინაგანი, ღრმა იდეის დაგვარად დილაგებული მოქმედება და მომქმედთა დიდ და მცირე მნიშვნელოვანება, უფროს-უმცროსობა.

ამ პერსპექტივის შემქნელი უდიდესი ზნეობრივი ძალა ცხოვრების დედა-აზრის, ფილოსოფიის ღრმა შეგნებიდან გამომდინარეობს.

მხატვრის გონება, რომელმაც განსჭვრიტა სიცოცხლის და სიკვდილის საკითხი, მოერია ცხოვრების უდიდეს საგანს, მძლეთა-მძლეობით იმოსება. ამაში გამოიხატება მხატვრის ნამდვილი გენიალობა, რომლის ძლიერებით ცოცხლობს მთელი მხატვრული ნაწარმოები. იგია მისი სულის ჩამდგმელი, მისი დედა-ძარღვი, რომელიც მთელ მის სიგრძეზე, თავიდან ბოლომდის ჰფეთქს და ცოცხლობს.

ავიღოთ მაგალითად ლევ ტოლსტოის გენიალური ნაწერი—„კრეიცერის სონატა“. იმისი დედა-აზრია —ადამიანის უანგარო, სულიერი და არა ხორციელი სიყვარული, ნამდვილი, მტკიცე, ღრმა-აზრიანი ცხოვრების შემქნელი. პოზდნიშევის ოჯახიდან განდევნილი იყო ეს ადამიანური სიყვარული, განდევნილი იყო ღმერთი და ამიტომ ამ ოჯახს სვე-ბედს ეშმაკი დაეპატრონა.

საოცარი, სიცოცხლით სავსე ძლიერებით, გენიალური გამჭრიახობით გვიხატავს ავტორი ამ ოჯახის დანგრევის სურათს. მთელ მოთხრობაში თავიდან ბოლომდის თვით დამწერი, ავტორი უმთავრესი მომქმედი პირია. იმისი რწმენა, რომ წმინდა უანგარო, თავგანწირული ქრისტიანული სიყვარულია კაცთა შორის ნამდვილი, მტკიცე, საუკუნო კავშირის შემქნელი—უდიდესი კანდელი, ცხოველმყოფელი, შუქის გამომცემი იდეალია, რომელიც მთელ ნაწარმოებს ანათებს.

ოჯახის მთელი წყობილება, მეუღლეთა პიროვნება, მათი ფუქსავატი აღზრდა და ზნე-ჩვეულება, შემთხვევით შეუღლება; ტრფიალება, როგორც შედეგი გარეგნული, ხორციელი მშვენიერების მიმზიდველობისა, თაყვანება, კულტი ამ ნამდვილ სულიერ საფუძველს მოკლებულ მშვენიერებისა,—როგორც ცხოვრების საგანი და შინაარსი,—აი მთელი ეს ლამაზი ზენაშენი, ის შენობა, რომელსაც ცარიელობა ედო საფუძვლად. თუ ადამიანის სული გამოფიტულია, რაც უნდა ლამაზი და თვალ-წარმტაცი შენობა ააგოთ ზედ იმისი საბოლოო ხვედრი—საზარელი ფათერაკია.

მხოლოდ ცხოვრების დედა-აზრის ფილოსოფიის ღრმად გამჭვრეტ გენიოსს შეეძლო ასეთი საუცხოო მხატვრული ნაწარმოების შექმნა.

ჩვენ, ქართველებმა, არ ვიცით, რა არის სიცოცხლის შინაგანი ვითარება, არ გვესმის და არ გვაინტერესებს მისი ფილოსოფია, ამიტომ ჩვენი მხატვრობა და პოეზია—უძლურ-უსუსურია.

როგორც ბავშვებს, ჩვენ მხოლოდ ცხოვრების გარეგნული მხარე გვიტაცებს: ლამაზი სხეული, ლამაზი გრძნობა, ტურფა ტრფიალება, ხორციელი სიყვარულის ეშხი.

ჩვენ გვაშინებს სიკვდილის შავი აჩრდილი. არა გვაქვს იმდენი სულიერი ძალა, რომ სიკვდილს მისი უშიშარი შეგნება დავახვედროთ და გავაქარწყლოთ. არ გვესმის, რომ სიკვდილის შავი-ბნელი აჩრდილი მხოლოდ იმ ადამიანის წინაშე ჰქრება, ვინც მისი საიდუმლო გამოიცნო, ვინც თვისი სულის სიღრმეში უკვდავების ძლიერი ჩქეფი აღმოაჩინა, რომელსაც სიკვდილი ვერ სძლევს, გზაზე ვერ გადაეღობება.

რადგან სიკვდილის საზარელი ლანდის გვეშინიან, რასაკვირველია ამ სოფლის სიამეს ვეტრფით, ლამაზ ქალთა უბეს ვეპოტინებით, ხორციელი სიყვარულის ეშხით ვთვრებით და არ ვფიქრობთ იმაზე, რომ დამთვრალ და გონება-დაძინებულ ადამიანს გაღვიძება მოელის და ისევ თვალწინ დაუდგება საზარელი ჩვენება.

როდემდის უნდა ილოთოს?

ამ მხრივ ჩვენი მწერლობა მხოლოდ იმით განირჩევა სირაქლემასაგან, რომ მტრის წინაშე ეს უკანასკნელი თავს ქვიშაში მალავს და ამნაირად თავის დაღწევას სცდილობს. ჩვენ კი, სიკვდილის აჩრდილის წინაშე, უფრო სასიამოვნო ადგილას, ქალის უბეში ვმალავთ ჩვენ ბედკრულ თავს და ცხოვრების უდიდეს საკითხებისაგან ამნაირად თავის დაღწევას ვცდილობთ.

ჩვენ არ შეგვიძლია ცხოვრების ღირსების შეგნება, რადგან საამისო ფილოსოფიურ გამჭრიახობას მოკლებული ვართ, ამიტომ ჩვენ მხატვრობასა და პოეზიას შემთხვევითი, წარმავალი ღირსება აქვს. როგორ უნდა გამოვხატოთ, დავასურათოთ ეს ცხოვრება, რომელიც სრულებით არ გვესმის?

**ილია ნაკაშიძე.**

## ნინამძღვარი სკოლას აუქმებს!

როგორც ვიცით ხაშმის სამონასტრო სკოლა მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ნაზარმა დახურა „უსახსრობისა გამო“. ეს სკოლა არქიელის წინადადებით საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ კვლავ გახსნა თავის ხარჯით. ხაშმის მცხოვრებთათვის, ვსთქვათ, სულ ერთია, ვისი ხარჯით ირსებებს სკოლა, მონასტრისა თუ საბჭოსი. მაგრამ თვითონ ისეთი მოვლენა, მონასტრის მიერ სკოლის გაუქმება, საგულისხმო მოვლენაა და მწარე ფიქრების აღმძვრელი.

მონასტერი, სკოლას აუქმებს! ეს მხოლოდ ჩვენს ბედკრულს ხანაში თუ მოხდება. უწინ მონასტრები უმთავრესი წყარო იყო განათლებისა, იქიდან გამოდიოდნენ ჩვენი ცხოვრების მოწინავე მოღვაწენი და მწიგნობარნი. დღეს ჩვენი მონასტრები გაპარტახებულია, მივიწყებული, ხალხის გულსა და სულს აღარაფერს აძლევს, მისი ცხოვრება წყვდიადით არის მოცული, ხოლო ხანდისხან, ისიც შემთხვევით თუ ამოტივტივდება რაიმე, ჩვენი უკუღმართი დროის დამახასიათებელი, მოვლენა, როგორც მაგ. მონასტრის მიერ სკოლის გაუქმება.

მართლაც, უსახსრობას რომ გამოეწვიოს სკოლის გაუქმება, მონასტრისათვის ესეც სამარცხვინო იქნებოდა, რადგანაც მონასტრის ძმათა და წინამძღვრის უსაქმურობასა და უილაჯობას დაამოწმებდა. მაგრამ ხალხის წინაშე წინამძღვარის დანაშაული ორკეცდება, როდესაც მონასტერს საკმაო შემოსავალი აქვს და წელიწადში ოცდა ათი თუმნის გულისათვის უკვე გამართულს, მოწყობილს სკოლას აუქმებს.

ნამდვილი ცნობებით ამ მონასტერს აქვს ყარაიაზში შვიდასი დესეტინა საუცხოვო სახნავ-სათიბი მამული, საიდანაც მონასტერი მხოლოდ საბალახეო **ხუთას თუმანზე მეტს** იღებს. ხაშმის წისქვილი წელიწადში უკანასკნელს **ორას კოდს პურს** აძლევს. ხაშმის ზვრის შემოსავალი უკანასკნელი **სამოცი თუმანი** მაინც იქნება, გარდა სამონასტრო ძმებისათვის საჭირო ღვინისა. ორთაშუა რიცხვით მონასტერს წელიწადში **ექვსასი თუმანი** მაინც ექნება ნაღდი შემოსავალი. სად მიდის ეს ფული? საერო წესისამებრ მონასტრის შემოსავლის ნასამედი მონასტრის წინამძღვარს ეკუთვნის. ორი მესამედი კი მონასტერს უნდა რჩებოდეს.

განა ამ თახხიდან სკოლის შენახვა არ შეეძლო მონასტერს? 1896 წელს, როდესაც ამ მონასტრის წინამძღვრად ყოვლად სამღვდელო ლეონიდი იყო, მან მონასტრის ხარჯით სამ თვეში ააგო ხაშმის სკოლის ახალი შენობა და მასწავლებელიც მონასტრის ხარჯით მოიწვია. მაშინ ყარაიაზის მამული წელიწადში მხოლოდ **ას თუმანს** იძლეოდა. ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა მონასტერის მეურნეობის გაუმჯობესობას მოჰკიდა ხელი, შეიძინა სათიბი მანქანა. ახალი გუთანი, მინგრეულ-მონგრეული წისქვილი მთლად გაანახლა, ზვარში მიწა პლანტაჟით გადააბრუნებინა და სხვა.

თუ კი ასეთ მცირე შემოსავლის დროს, ლეონიდმა შესძლო სკოლის აგება-გამშვენება, ნუ თუ საფიქრებელი იყო, რომ ეს მონასტერი სკოლის დაკეტვას მოესწრებოდა მაშინ, როდესაც მისი შემოსავალი ექვსას თუმანს აღემატება?!

იყო გულ-მოწყალე და სათნო ადამიანი. მან ცხოვრების ეკალნარში დარგო და ახეირა ვარდის სურნელოვანი; ფარვანასავით თავს ევლებოდა მას. მოვიდა ახალი მოძღვარი დაასხა ნავთი ბუჩქსა საამო საყნოსველსა და მისცა ცეცხლი!..

ჭეშმარიტად უბადრუკ დროს მოვესწარით.

**ხაშმის სამონასტრო სკოლის მასწავლებლად ნამყოფი ნიკოლოზ კურდღელაშვილი.**

## წერილი ქართველ მაჰმადიანთან

საყვარელო ძმაო ხუსეინ! შენი წერილი ჩვეულებრივათ ყურადღებით გადავიკითხე, რადგანაც ყოველივე შენი წერილი გულახდილი, ნამდვილი სარკეა, გამოხატულება ჩვენი ძმების, ქართველ მაჰმადიანების სულის კვეთებისა, მათი ფიქრის და გულის წუხილისა. თვითეული შენს მიერ დასმული კითხვა ეს თითქმის მთელი ქართველი მაჰმადიანების კითხვას შეადგენს. აი ეხლანდელი შენი კითხვაც: „თუ თქვენ, ქართველ ქრისტიანებს, მართლა გულწრფელათ გსურთ ჩვენი ძმობა, პატივს სცემთ და მოგწონთ ჩვენი რჯული, რატომ არ იღებთ მას და მით ეროვნებითაც და რჯულითაც ნამდვილი, სრული თანამოძმეები არ გაგვიხდებით?“ ხშირად მსმენია სხვებისაგანაც და ამიტომ ვეცდები ამ მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხზე შეძლების და გვარად, გასაგები, ცხოვრებიდან აღებული ცოტათ თუ ბევრად შესაფერი მაგალითით გაგცე პასუხი.

ერთს ქალაქში სცხოვრობდნენ ორი კეთილშობილი, მდიდარი და მეტად პატიოსანი ძმები ალი და ნაზიმი. უკანასკნელი ჯერ ბ ვშვი იყო, როცა მათ მშობლები დაეხოცათ და ის უფროსი ძმის საპატრონოთ დარჩა. ალიც სინდისიერად, სიყვარულით, ნამდვილ მამასავით უვლიდა, იცავდა თავისს უმცროს ძმას ყოველივე განსაცდელისაგან. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ წამოზრდილს ნაზიმს ძლიერ უყვარდა ალი და მისთვის სიცოცხლესაც არ დაიშურებდა. ალიც ამგვარივე სიყვარულით უხდიდა სამაგიეროს.

ალი უკვე დიდი ხნის დაცოლშვილიანებული იყო, რომ ოცი წლის ნაზიმს მოუხდა სხვა ქვეყანას წასვლა, საიდანაც ის მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ დაბრუნდა მშვენიერი, მზისდარი ცოლის თანხლებით.

კარგი ხნის უნახავი ნაზიმის დაბრუნებამ საერთო მხიარულება, სიხარული გამოიწვია მთელს ოჯახში და ნათესავ-ნაცნობთ შორის. მეტადრე ახარებდა, უზომო სიამოვნებას ჰგვრიდა განურჩევლად სულ ყველას ის, რომ ნაზიმს თავისი პატიოსანი ხასიათის შესაფერი, ყოველივე ღირსებით შემკული ქალი შეერთო, რომლის სილამაზე, პატიოსნება და ხასიათის სიმტკიცე, კეთილშობილება ძალაუნებურად ყველაში პატივისცემას, თანაგრძნობას იწვევდა, აღვიძებდა. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ წინედ მოკისკასე, მხიარული, ცელქი ნაზიმი სახლში დაბრუნების შემდეგ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო რაღაც ყველასათვის გამოურკვეველს სევდას, ჯავრს ეძლეოდა და საერთო მხიარულებას გაურბოდა, ერიდებოდა. ვერავის ვერ აეხსნა მისი ასეთი უცნაური დაღონების მიზეზი, ვერ გაეგო ის ალისაც, და ამიტომ, როცა ისინი ერთხელ მარტოთ დარჩნენ, მან სთხოვა ნაზიმს გაეზიარებინა მისთვის მისი გულის ნაღები, მისი დაჯავრიანების მიზეზი, რომ, თუ შესძლო იქნებოდა, შეემსუბუქებინა ან სულ მოეშორებინა მისთვის ეს უდღეგრძელო, ყოვლად უმსგავსი მწუხარება. ძმის ასეთ სიტყვებზე ნაზიმი შეკრთა, გაწითლდა და ძწვავე უხერხულობა იგრძნო. მაგრამ ძმის სახის თვალების გამომეტყველებამ, რომელიც სიყვარულით შესცქეროდნენ და მოელოდნენ მისგან პასუხს, გაამხნევა ის შემდეგი სიტყვებით მიემართნა ალისათვის.

ძვირფასო ძმაო! შენ იცი, თუ რა რიგათ მიყვარხარ, მიმაჩნიხარ! იცი, რომ შენთვის მუდამ მზადა ვარ თავი გავსწირო, იცი რომ შენთვის არავითარი ცუდი არ გამიარს გულში და შენი ბედნიერება ჩემს ბედნიერებად მიმაჩნია! ამიტომ ნუ დამძრახავ, ნურც იწყენ, წინდაწინვე მომიტევე, თუ შენთვის რამე არა სასიამოვნო გითხარი, გირჩიე. იცოდე, რომ ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ შენი სიყვარულით იქნება! ალის გაეკვირვა ძმის ასეთი სიტყვები, მაგრამ მაინც აღუთქვა, რომ გულდასმით მოისმენდა ყოველივე მასს სიტყვას.

როგორ მოგწონს შენ ჩემი ცოლი?

განა მაგას კითხვა სჭირია? რასაკვირველია ძლიერ, რადგანაც ის სრული განსახიერებაა მშვენიერებისა და სიწმინდისა! მერე რა იყო? ის, რომ სწორედ ეს არის მიზეზი ჩემი მოწყენილობისა, მიუგო ნაზიმმა. როგორ, განა შენ მასში რაიმე ნაკლი ჰპოვე? გაკვირვებით შეეკითხა ალი. არა, სრულიადაც არა, მაგრამ.... ძმაო, გაგიბედო გითხრა ის, რისიც თქმა ბევრი ხანია მწადია, რაც ბევრი ხანია მტანჯავს, მაწვალებს? სახე მკრთალმა, აკანკალებული ხმით მიმართა ნაზიმმა ძმას ისევე.

მითხარი, მითხარი ყველაფერი, ნურაფერს მიმალავ! მტკიცედ მიუგო ალიმ. მაშ გეტყვი.. ძმაო, მე ვხედავ, მესმის, თუ როგორ აქებენ, ადიდებენ ჩემს ცოლს, მეძახიან ბედნიერ კაცს, რაც სიმართლეს არ არის მოკლებული, მაგრამ ამასთანავე მეყურება, მეუბნებიან: „ოჰ, რა მშვენიერება, რა ბედნიერი იქნებოდა ალი, რომ შენსავით ახალგაზდა, ლამაზი ცოლი ჰყავდესო“. ეს სიტყვები საწამლავათ მხვდება გულსა და სულში, რადგანაც ყოველ წამს მაგონებს, რომ შენ, ჩემი უძვირფასესი, ერთად ერთი ძმა, არა ხარ ისე ბედნიერი, როგორც მე, თუმცა ამის ღირსიც ხარ და შეძლებაც გაქვს. ამიტომ არის, რომ რაღაც იდუმალი ხმა დაჟინებით, განუწყვეტლივ ჩამძახის ყურში: „ურჩიე, ურჩიე ალის გაუშვას თავისი მოხუცი, ულამაზო ქალი და შენსავით მშვენიერი ცოლი შეირთოსო“ ეს არის ძმაო მიზეზი ჩემი დანაღვლიანებისა, სასოწარკვეთილებისა, ჩემი ბედნიერების განახევრებისა. ეხლა შენ იცი უკვე, თუ რა მაშორებდა მე საერთო მხიარულებას და სტანჯავდა ჩემს სულიერ არსებობას. აწ შენზეა ყოველივე დამოკიდებული, დაათავა მან.

ყურადღებით ისმენდა ალი ძმის ცხარე, წრფელს სიტყვებს და არც წყენა, არც საყვედური ან მღელვარება არ იხატოდა მის მშვიდ, ჩაფიქრებულს სახეზე...

ჩემო ნაზიმ, მე ვიცი, რომ ყოველივე ის, რაც შენ ეხლა ასე გულახდილად მითხარი, მხოლოდ და მხოლოდ შენი ჩემდამი ღრმა სიყვარულით აიხსნება და მეც არავითარი ეჭვი არ შემაქვს შენს გულწრფელობაში, მაგრამ მაინც მიპასუხე: ჩემმა ცოლმა შენ გაწყენინა ოდესმე რამ, მასში რაიმე ცუდი მხარე დაინახე? ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ალიმ ძმას.

არა, სრულებითაც არა! ის მეტად პატიოსანი, კეთილი და სათნო ადამიანია! სწრაფლ მიუგო ნაზიმმა.

მაგრამ, შენ მაინც მირჩევ გავეყარო ჩემს ღმობიერს, ყოვლად უწყინარ ცოლს, რომელსაც მე თან შევეზარდე და შევეჩვიე? გავეყარო ჩემი ათასნაირ ჭირ-ვარამის გამზიარებელ-მანუგეშებელს, ჩემი შვილების დედას. მხოლოდ იმიტომ, რომ ის მოხუცდა და ლამაზი აღარ არის?!

ნაზიმი სდუმდა და პასუხს არ აძლევდა.

მითხარი ძმაო! შენ უსაზღვროთ, თავდავიწყებით გიყვარს შენი სიცოცხლით სავსე, ახალგაზრდა, მშვენიერი ცოლი, მაგრამ როდესაც ის შენი შვილების დედა გახდება, მოხუცდება და თოვლის ფიფქს მსგავსი თმით დაუმშვენდება, დაეჩრდილება მრავალი ფიქრისაგან, ცხოვრების გამოცდილებისაგან დანაოჭებული მაღალი შუბლი; როცა მისი თვალებიდგან ცეცხლის ნაპერწკლების ფრქვევის მაგიერ, ნაზი სინათლის სხივი გამოაშუქებს და სიყვარულით გაანათებს არე-მარეს, მაშინ რომ ვინმემ, თუნდა მე, გირჩიო გაეყარე, დაშორდი შენს მოხუცებულს ცოლს და მის მაგიერ ყმაწვილი და ლამაზი ქალი მოიყვანეო, დაიჯერებ შენს?

არა, თავის დღეში არა! წამოიყვირა ნაზიმმა და სიტყვებით „მაპატიე, მაპატიე ძმაო“ დარცხვენილი, თვალებზე ცრემლ-მორეული გაექანა ალისკენ, რომელმაც სიყვარულით გაუშალა ორივ ხელები და მხურვალეთ, მაგრათ ჩაიკრა გულში საყვარელი ძმა.

ამის შემდეგ ნაზიმის სახე გამხიარულდა; ყოველივე ჯავრი, ნაღველი სამუდამოდ გაჰქრა, გამოესალმა მისს გულს; ხშირად ისმოდა მისი გამაცხოველებელი, აღმტაცებელი სიცილ-კისკასი. ალიც მეტი პატივისცემით, მეტი სიყვარულით ეპყრობოდა მას და მისს მშვენიერს ცოლს, რაც ოდნავათ არ უშლიდა ჰყვარებოდა [illegible] კეთილი მოხუცი ცოლი.

სრული უნაკლო ბედნიერება სამუდამოდ დამკვიდრდა ამ ოჯახში.

—

რამდენად დაგაკმაყოფილებს, ნათელ-ჰყოფს შენთვის, ძმაო ხუსეინ, რჯულის საკითხს ეს პატარა ამბავი არ ვიცი, მაგრამ სხვანაირი, უფრო შესაფერი პასუხის გაცემა ასეთ, ვიმეორებ კიდევ, დიდმნიშვნელოვან, ჩემი გონებით მიუწვდომელს საკითხზე მე ვერ შევიძლი, რასაც ეხლავე ვაღიარებ.

მშვიდობით შენი კეთილის მსურველი და მოყვარული ძმა

**პატარა გოგი.**

## მუშათა ცხოვრება

### ტფილისში.

**„ლალიძისა და ამხ.“ ქარხნის მუშათა მოთხოვნილებანი.**

„ლალიძისა და ამხ.“ ტფილისის ქარხნის მუშებმა 27 თებერვალს წარუდგინეს მოთხოვნილებანი ქარხნის ადმინისტრაციას. მოთხოვნილებათ წმინდა ეკონომიური ხასიათი აქვს და შესდგება 20 მუხლისაგან. მოგვყავს უმთავრესი მუხლები: 1. ზამთარ-ზაფხულ ცხრა საათის სამუშაო დღე; უქმეების დღის წინ რვა საათის სამუშაო. 2. ზაფხულის უკანასკნელ ჯამაგირის მომატება 20%-ით. 3. ზამთარ-ზაფხულ ერთნაირი ჯამაგირი. განმარტება: მართალია, ზამთარში მუშაობა კლებულობს, მაგრამ, სამაგიეროდ, აკლდება მუშათა რიცხვიც და მცირდება შემოკლებულ მუშაობასთან მეტი პროცენტი; ასე, რომ თვითეულ მუშის სამუშაო მატულობს და არა კლებულობს.

4. საახალწლო საჩუქრის დარიგება: თვიურ ჯამაგირის ნახევარი.

5. მუდმივ მუშას დათხოვნის დროს მიეცეს ყოველ ნამუშევარ წელიწადზე თითო თვის ჯამაგირი; წლის ნაკლები ნაანგარიშევი უნდა იყოს სრულ წელიწადად.

6. მუდმივ მუშას წასვლის შემდეგ ადგილი უნდა შეენახოს სამი თვის განმავლობაში უჯამაგიროდ.

7. დღიურ, ე. ი. სეზონის მუშას მიეცეს დღის ქირად არა ნაკლებ ერთი მანეთისა და თითო ბოთლი ლიმონის წყალი.

8. მუშების მომატების დროს უპირატესობა უნდა მიეცეს ბოლო დროს ნამუშავარ მუშებს.

9. სეზონის მუშას დათხოვნის დროს უნდა მიეცეს: თუ ერთი თვე აქვს ნამუშევარი ერთი კვირის ქირა; თუ ექვსი კვირა აქვს ნამუშევარი უნდა მიეცეს კვირა ნახევრის ქირა, თუ ორი თვე—ორი კვირისა, და ასე ყოველ ერთ თვის მუშაობაზე ერთი კვირის ქირა.

10. თუ სეზონის მუშას დრო გამოშვებით უხდება მუშაობა და საერთოდ ერთი თვის ნამუშევარი არ აქვს, ხელახლად მიღების დროს ემატება წინად ნამუშევარი და ამნაირად დგება ჯამი მთელი თვის ან მეტის ანგარიშისა.

11. ეხლა არსებულ საათის დასვენებასთან ერთად სადილობისთვის, უნდა დაწესდეს კიდევ საუზმისათვის ნახევარი საათით დასვენება.

12. ზამთარ-ზაფხულ თავის დროზე უნდა მოგვეცეს წინსაფარები და სამუშაო ხალათები.

13. ქარხანაში დაიკიდოს კედლის სწორი საათი.

14. საანგარიშო წიგნაკები უნდა იყოს ქართულ-რუსულად დაბეჭდილი და ისე დაგვირიგდეს.

15. აუცილებლივ აიკრძალოს რაიმე პირობისა და ხელშეკრულების დადება მუშასა და პატრონს შორის გარდა იმისა, რაც მოხსენებულია მუშაობის წესდებასა და საანგარიშო წიგნაკში.

16. მუშაობის დროს მუშებთან დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციის მხოლოდ ერთ წევრს.

17. ზრდილობიანი მოპყრობა ადმინისტრაციის მხრივ და საერთოდ წესიერების დაცვა.

18. ამ მოთხოვნილებისა და მისგან მოსალოდნელ შედეგისთვის არავინ არ უნდა იქმნეს დასჯილი და დათხოვნილი.

მუშები ადმინისტრაციას ორი კვირის ვადას აძლევენ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ლალიძის ტფილისის ქარხანაში 25 მუშა მუშაობს. ერთი პირი მოთხოვნილებისა გაეგზავნა საქარხნო ინსპექტორს.

### რუსეთში.

**მუშები და ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტი** მთავრობის მიერ შედგენილი კანონ-პროექტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ იმ ჟამად არჩევა პეტერბურგის მუშათა ფართო წრეებში. მუშების აზრით, ამ კანონ-პროექტის მაღლა [illegible] ბაში განხორციელება შეუძლებელია [illegible]

**გაფიცვა გაზ. „გოლოს რუსი“-ის სტამბაში.** მემარჯვენე გაზეთ „გოლოს რუსის“ ასოთ-ამწყობებმა თავისი წარმომადგენლების ხელით წერილობით განცხადება წარუდგინეს გამომცემელს, სახელმწიფო სათათბიროს წევრს ოლქსეევს, სადაც წამოყენებული იყო ეკონომიური მოთხოვნილებანი. დეპუტატმა მოთხოვნილება დახია და დაემუქრა მუშებს, პეტერბურგიდან გადაგასახლებთო. მუშები გაიფიცნენ.

ბრომის ქარხანაში გაფიცვა დასრულდა. გაფიცულთა მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილეს და მუშების ერთი ნაწილი სამუშაოდ აღარ მიიღეს.

შაპოშნიკოვის თამბაქოს ქარხანაში ადმინისტრაციასა და მუშებს შორის დამოკიდებულება გამწვავდა. ყველა დარგის მუშებმა ეკონომიური მოთხოვნილებანი წამოაყენეს. ამ მოთხოვნილების უმთავრესი მუხლი შეეხება დათხოვნილი მუშის მიღებას. ქარხნის ადმინისტრაციამ განცხადება გამოაკრა, რომლითაც მუშებს მოუწოდებს, ანგარიში მიიღეთო. სულ 1000 კაცამდეა გაფიცული. უმრავლესობა ქალებია.

**სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროტესტი.** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად სახელმწიფო საბჭომ უარჰყო სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა დაქირავების კანონ-პროექტი. ამ ამბავმა ძალიან აღელვა სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურენი. ნოქრების კრებებზე დაადგინეს, გამოსთქვან პროტესტი სახელმწიფო საბჭოს წინააღმდეგ.

## მოწერილი ამბები

**სოფ. ურიათუბანი** (თელავის მაზრა). თხუთმეტ თებერვალს, აქაურ სამინისტრო სასწავლებელში გაიმართა მოწაფეთა სალიტერატურო საღამო. საღამომ მოიზიდა, როგორც აქაური მკვიდრნი—აგრეთვე გარეშე პირნი. სკოლის ვართო დარბაზში გამართული იყო სცენა, ფთათლოთი მოქარგული.. აიხსნა ფარდა და სცენაზე გამოჩნდა მოწაფეთა გუნდი. რიგ-რიგად წაიკითხეს ქართული ლექსები. რამდენიმე სიმღერა სთქვეს. კარგი იყო ვაჟთა მიერ შესრულებული სოფლური სიმღერები და პატარა მეჩონგურე. ნასიამოვნები დამსწრენი ტაშის ცემით ეგებებოდნენ მათ.

მღ. ს. გუგუტაშვილმა ურჩია ხალხს სკოლის გაფართოვება. ხალხი სიამოვნებით მიეგება ამ აზრს. მადლობის ღირსნი არიან აქაური მასწავლებელნი, ნინო ლაშხაური და მარო მეგავიძე, რომელთაც იკისრეს საღამოს გამართვა, აგრეთვე ქ-ნი მარო ბრაგვაძისა, რომელმაც მშვენივრად შეასწავლა მოწაფეთ სიმღერა და ლექსებიც შინაარსიანი ამოურჩია. მადლობის ღირსნი არიან ყველა შემომწირველნი, რომელთა წყალობით მოწაფეთ დაურიგდათ ხილეულობა, ხოლო გადარჩენილ ფულით კი გადაწყვეტილია გამოიწეროს მოწაფეთა დასარიგებლად ქართული წიგნები **დროებითი.**

**მიქელ-გაბრიელის საზოგადოება** (გურია). 15 თებერვალს წვრილის სესხის ინსპექტორის ბ-ნ ღლონტის თავმჯდომარეობით შესდგა აქაურ წვრილ სესხის ამხანაგობის წლიური კრება. კრებას დაესწრო 169 წევრი. გამგეობის წევრმა ი. წუწუნავამ ამხანაგობის ანგარიში წაიკითხა, რიმიდან გამოირკვა:

მიქელ-გაბრიელის ამხანაგობა დაარსებულა 1911 წლის მიწურულში. მიმდინარე წლის პირველ იანვრისთვის ამხანაგობას ჰყოლია 256 წევრი. ამავე დროსთვის ამხანაგობის ნდობა სახელმწიფო ბანკში უდრიდა 12,000 მანეთს. ეს ფული წლის განმავლობაში გასესხებული ყოფილა წევრებზე და ამხანაგობას წმინდა მოგება დარჩენია 280 მანეთი და 69 კაპ., წევრებს გატანილი სესხი ვადაზე შემოჰქონდათ და წლის განმავლობაში მხოლოდ ერთ შემთხვევაში გადაუხდევინებიათ ვალი პოლიციის დახმარებით. გატანილი სესხი, მცირე გამონაკლისს გარდა, ნაყოფიერად იხარჯებოდა. ფული უმთავრესად ხმარდებოდა სამუშაო საქონელს, მიწისა და ტყეებისა შეყიდვას, სახნავ-სათესი მიწების იჯარას და სხვა. უფრო ნაკლებად ხმარდებოდა სესხი სამეურნეო საჭიროებას, რაც იმით აიხსნება, რომ მოკლევადიანი სესხით ბაღების გაშენება ხელსაყრელად არავის მიაჩნდა. შარშან ივლისში სახელმწიფო ბანკის მოთხოვნისამებრ ამხანაგობას თავისი ნდობა, ძირითადის თანხის გამოკლებით, სულ 10,000 მან. ერთის თვით განთავისუფლებია. სესხის განაა-

ვისუფლებას უხერხულ მდგომარეობაში ჩაუგდია წევრები და ამხანაგობასაც 350 მანეთზე მეტი უზარალნია, რადგანაც მაისიდან მოკიდებული ამხანაგობის მოქმედება სამის თვით შეჩერებული ყოფილა. მაგრამ სესხის განთავისუფლებას კარგი შედეგიც მოჰყოლია: ამა წლის თებერვლიდან ამხანაგობისათვის კიდევ მიუციათ 5,000 მან. გრძელ-ვადიანი სესხი და 3,000 მან. მოკლე-ვადიანი. ასე, რომ ამ ჟამად ამხანაგობის ნდობა 20,000 მანეთს უდრის. ნდობის გადიდების მიზეზად მომხსენებელი სესხის ვადაზე გასტუმრებასა სთვლის. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორის წლის განმავლობაში შესანახად ამხანაგობაში გროშიც არავის მოუბარებია. სამწუხაროდ ეს სენი მარტო მიქელ-გაბრიელის ამხანაგობას არ სჭირს. მსესხებელი ასობითაა, ფულის მიმბარებელი კი არცერთი. მომხსენებელი იმ აზრისაა, რომ—ქართველებმა მომჭირნეობა არ ვიცით, რასაც ვიშოვით მაშინვე ვხარჯავთ და შავი დღისათვის რაიმეს შენახვას არ ვცდილობთ—და დამსწრეთ მოუწოდებს, თუ ვინმეს თავისუფალი თანხა აღმოაჩნდება, შემოიტანონ შესანახად. ამით ამხანაგობა თავის დანიშნულებას აასრულებს და მომხმარებელიც სარგებლობას ნახავს.

კრებამ ერთხმად დაამტკიცა ანგარიში და ნაყოფიერ მუშაობისათვის გამგეობას მადლობა გამოუცხადა.

შემდეგ შეუდგენ მოგების განაწილებას. 112 მანეთი მიემატა 106 მანეთს, შარშანდელ მოგებიდან გადადებულ საკუთარ ძირითად თანხას, რაც ერთად 218 მანეთს შეადგენს. 56 მანეთი კი სათადარიგო თანხად გადაიდო. 72 მან. და 69 კაპ. გადასდვეს ამხანაგობისათვის მიწის შესაძენად. გურიის სესხის ამხანაგობათა ინსტრუქტორ მოანგარიშის დასაქირავებლად გადაიდო 15 მან. და დანარჩენი 25 მ. მიეცა მიქელ-გაბრიელის საზოგადოებაში არსებულ 5 სკოლას საყმაწვილო ჟურნალების გამოსაწერად, თითო სკოლას ხუთ-ხუთი მანეთი.

გამგეობის მოანგარიშეს და ხაზინადარს 130 მანეთის ნაცვლად ჯამაგირად დაუნიშნეს თითოეულს 240 მანეთი წლიურად. გამგეობის მესამე წევრს კი 80 მანეთი.

კენჭით გასვლა ხვდათ გამგეობის წევრს თ. გორდელაძეს და საბჭოს წევრს ი. საბაშვილს. ორნივე ხელახლა არჩეულ იქმნენ იმავე თანამდებობაზე. ბ-ნი გორდელაძე—166 ხმით სამის წინაალმდეგ და საბაშვილი 165 ხმით.

დასასრულ წვრილი სესხის ინსპექტორმა მოითხოვა ამხანაგობამ ამ წელშიაც ერთის თვით გაანთავისუფლოს ვავისი ნდობა. კრება ინსპექტორის მოთხოვნილებას ძალაუნებურად დასთანხმდა. **წევრი.**

## წკიპურტები

**გამდელი.** ქეთინო, ქართულად ილაპარაკე.

**ქეთინო.** რათა?

**გამდელი.** შენ ქართველი გოგონა ხარ და არა რუსი?

**ქეთინო.** ჩემი დედმამაც ხომ ქართველებია. რუსული (რომ) ცუდი იყოს განა ჩემი დედ-მამა დღე და ღამ რუსულად ილაპარაკებდნენ?".

**ჩვენ.**

## რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულება

გუშინ ჩვენი მკითხველები გაიცნობდნენ გერმანულ ოფიციოზის „კოელნიშე ცაიტუნგის" წერილს რუსეთის წინაალმდეგ მიმართულს. რუსეთის პრესაში ამ წერილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. როგორც მემარჯვენე ისე მემარცხენე გაზეთებშიც. გაზეთ „დენში" ბ-ნი ბიკერმანი აღიარებს, რომ რუსეთს განსაცდელი ელის და საჭიროა მზად იყოს; გაზეთი ახასიათებს საერთაშორისო პოლიტიკის ეხლანდელ მდგომარეობის. „ცხოვრების მიმდინარეობამ რუსეთი გამოიყვანა განცალკევებულ მდგომარეობისაგან და შესტყორცნა საერთაშორისო განწყობილებათა რთულ სფერაში, როგორც დიდი მცდუნებელი და როგორც დიდი საფრთხე. ათასი წლის განმავლობაში რუსეთის საზღვრებზე არასდროს არ მოუყრია ისე თავი სხვა და სხვა სახელმწიფოთა ჯარს, როგორც ეხლა". საფრანგეთთან რუსეთს დიდი ხანია კავშირი აქვს და ეს იწვევს გერმანიაში რუსეთისადმი მტრობას. ყოველივე მომხდარის შემდეგ ინგლისმა შეიგნო, რომ ეხლა რუსეთს შინაური საქმეებიც ეყოფა და ინდოეთისათვის არა სცხელა. ამიტომ მტრული განწყობილება შესცვალა მეგობრობაზე იმის მოლოდინში, რომ თანდათან მოზარდ გერმანიის სიმძლავრეს დაუპირდაპიროს რუსეთის ძალა. გერმანელების შიში თანდათან იზრდება და იქ თანდათან ფეხს იკიდებს ეს აზრი, რომ ამ თავითვე საჭიროა ისე მოეწყოს საქმე, რომ მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც თანდათან იზრდება აღმოსავლეთში, წინდაწინვე გაქარწყლდეს. ოსმალეთი სულ ბრძოლაშია და ისე არავისი არ ეშინია როგორც რუსეთისა, რადგანაც მხოლოდ რუსეთს შეუძლიან ზურგიდან მოუაროს ოსმალეთს და ისტორიაც ადასტურებს, რომ ეს კიდევაც მოხდა ერთხელ. ოსმალ-გერმანული კავშირი ისეთივე ხასიათისაა, როგორც საფრანგეთ-რუსეთისა: დაახლოვდა ორი სახელმწიფო მესამეს საწინააღმდეგ, რომელიც მათ შუა მდებარეობს. ავსტრია-ჰუნგრეთს დიდი ხანია ეფიქრება რუსეთის თავდასხმისა, რადგან იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილები რუსეთის ეთნოგრაფიული გაგრძელებაა; მაგრამ ამავე გზით შეიძლება ჯარის გაყვანა მეორე მხრითაც: დასავლეთიდან-აღმოსავლეთით. ადვილად შესაძლოა ავსტრია იმედებს ამყარებდეს რუსეთის განაპირა ერის სურვილების აღძრაზე, მათ დაუკმაყოფილებლობაზე და ამით გულგამაგრებულმა სცადოს ბედი.

ბალკანეთის პატარა ერები ამ უკანასკნელ ხანებში დიდი სახელმწიფოებად გადაქცევის მადით არიან შეპყრობილნი და, თუ ომი მოხდა, რუმინია უეჭველია ან ბესარაბიაში შეიჭრება ან ავსტრიაში იმის მიხედვით, სად უფრო მოსახერხებელი იქნება მისთვის. შვეცია დაშფოთებულია იმით, რომ რუსეთის რკინის გზებს ფინლანდიისას უერთებენ და შეიარაღებას მიჰყო ხელი. იაპონია თავის საქმეს დამთავრებულად არა სთვლის და ფაცი-ფუცით ემზადება მომავალ მოძრაობისათვის დასავლეთით და ჩრდილოეთით. ძველის-ძველი ჩინეთი არ ივიწყებს შეურაცხყოფას, მით უმეტეს, რომ მონგოლეთიც ეხლახან ჩამოართვეს. რუსეთის გარშემო რკინის სალტე იჭიდება. უკანასკნელ წლების შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ხილი მომწიფდა და ჩამოვარდნას ლამობს". შემდეგ ავტორს ჩამოთვლილი აქვს ყოველი ნაბიჯი უცხოელ სახელმწიფოთა რუსეთის წინაალმდეგ მიმართული და ამბობს:

„ისე ახლოა ომი, თუ არა როგორც გვეჩვენება, არ ვიცით, მაგრამ საჭიროა, მას მომზადებული დავუხვდეთ. უნდა კი გვახსოვდეს, რომ ჩვენს დროში გამარჯვება იმისი კი არაა, ვისაც მამაცი ჯარი ჰყავს, არამედ იმისი, ვისაც ხალხი უკეთესად ჰყავს შეკავშირებული."

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**27 თებერვალი.**

**უცხოეთი.**

**პარიზი.** „პტი-ჟურნალი" აღნიშნავს რუსეთ-გერმანიის საგაზეთო პოლემიკას და ამბობს: ამ ინციდენტმა საფრანგეთის ყურადღება უნდა მიიქციოსო. გაზეთი ამტკიცებს, რომ რუსეთის განვითარებული ფინანსიური და ეკონომიური ძალა საფრანგეთთან კავშირის მნიშვნელობას აღიდებს. საფრანგეთი ეხლა უფრო ნაკლებ, ვიდრე ოდესმე, უნდა ფიქრობდეს, რომ უკანასკნელი სამხედრო კანონების შეცვლით თავისი ძალები არ დაასუსტოს.

**ბერლინი.** აქ დაარსდა ოსმალეთ-გერმანიის კავშირი გენერალ ფონ-დერ-გოლც-ფაშის თავმჯდომარეობით. ამ კავშირს, გერმანია ჩინეთის ინსტიტუტის მაგვარად, მიზნად აქვს ხელი შეუწყოს გერმანიის კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობას ოსმალეთში სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნით და ექიმთა მიწვევით. კავშირის გამგეობაში შედიან გამოჩენილი მეცნიერნი, პოლიტიკური და სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწენი.

**რომი.** სტეფანის სააგენტოს ცნობით, მეფეს თათბირი ჰქონდა დეპუტატებს ბოზელსა და ლუცატისთან სამინისტრო კრიზისის თაობაზედ.

**დურაცო.** ალბანეთის მმართველის თავმჯდომარეობით კაბინეთის შედგენის თაობაზედ საერთაშორისო საკონტროლო კომისიის თათბირი მოხდა.

**რომი.** შუადღის შემდეგ მეფე რიგ-რიგად ეთათბირა დეპუტატ სადიანდრს, ოლანდოს, ბეტოლოს, სოციალისტ-რეფორმატორთა ლიდერ ბისოლატსა და მარტის.

**ლონდონი.** სუფრაჟისტ ქალს რიჩარდსონს, ველასკეზის სურათის წახდენისთვის, სასამართლომ ექვსი თვით ციხე მიუსაჯა.

**შერბურგი.** სამხედრო გემების ვარჯიშობის დროს ლუზა მოსწყდა და ნაღმოსანი 29 ადლის სიღრმეზე დაიძირა. ხალხი გადაარჩინეს.

**ლონდონი.** სუფრაჟისტებმა ჩანკჰერსტის დატუსაღების გამო სტიუარტონში სახლს ცეცხლი წაუკიდეს.

**ხანკოუ.** ავაზაკთა ბრბომ „თეთრმა მგლებმა" დაარბია ლიაოხკოუ, რომელიც ხანკოუდგან სამასი ვერსითაა დაშორებული. დაჭრილ-დახოცილებიც არიან.

**ლონდონი,** მუზეუმთა უმრავლესობა დაიხურა განუსაზღვრელი დროთი.

**კალკუტა.** მაგპურსა და მის მიდამოებში ხოლერა მძვინვარებს. 300 კაცი გარდაიცვალა. ხოლერა მლოცველებს შეუტანიათ.

**ვენა.** დეპუტატთა პალატის სხდომები განახლდა. ჩეხელმა აგრარიებმა და რადიკალებმა ობსტრუქცია განაახლეს და პროტესტი განაცხადეს სამხედრო კანონ-პროექტის წინასწარ გარჩევის წინაალმდეგ. სხდომის შემდეგ მსჯელობა იქონიეს დეპუტატ შვიხის შესახებ, რომელსაც პოლიციასთან კავშირი ბრალდება. ჩეხელმა სოციალ-დემოკრატებმა წინადადება შეიტანეს პოლიციის უფროსი დაითხოვონ, რადგან იგი პასუხის მგებელია ხალხის წარმომადგენლის მოსყიდვაში. ჩეხელ სოციალ-დემოკრატის სოუკუპის განცხადებაზე, რომ შვიხმა აურაცხელი დანაშაულობა ჩაიდინა პარლამენტის წინაალმდეგ, პრეზიდენტმა უპასუხა, ორატორის აზრს გავიზიარებ, თუ ბრალდება დამტკიცდებაო.

**ფრენა.**

**სტამბოლი.** მეორე საფრენი, რომელიც ქაირში გადაფრენას აპირობდა, იაფფის ახლოს ზღვაში ჩავარდა. მფრინავი ნური დაიღუპა, მგზავრი გადაარჩინეს. მესამე საფრენი ედრემიტოშია.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს სახალხო განათლების კომისიას მსჯელობა ჰქონდა პირველდაწყებით განათლების დამატებითი ხარჯების შესახებ, რაც 9 მილიონს უდრის, და სურვილი გამოსთქვა, სახალხო მასწავლებლებს ჯამაგირი მოემატოთ 120 მანეთით, რათა წლიური ჯამაგირი 480 მან. უდრიდეს. პირველად მოემატებათ—60 მანეთი 1915 წელს მერე 60 მანეთიც 1916 წელს.

ფინანსთა მინისტრმა შეიტანა სათათბიროში კანონ-პროექტი, რომლითაც საქციზო გადასახადი უნდა დაეწესოს ყველა ასანთებ საგნებზედ, რომლის ფასიც 75 კაპ. აღემატება.

სახალხო განათლების მინისტრმა შეიტანა სათათბიროში კანონ-პროექტი დედათა პროფესიონალურ სასწავლებლის შესახებ.

საბჭომ გადასწყვიტა განაგრძოს საგანგებო დაცვა იალტაში 1914 წლის სექტემბრამდე.

საბჭომ უარჰყო სათათბიროს წევრების საკანონმდებლო წინადადებანი: 37 წევრისა—თერგის ოლქში საერობო დაწესებულებათა შემოღება; 31 წევრისა—ყუბანისა და თერგის ოლქის კავკასიის სანამესტნიკოდგან გამოყოფის შესახებ.

**ვლადივოსტოკი.** 50 შეიარაღებული ჩინელი გადმოვიდა რუსეთის საზღვარს და ტყეს კაფვა დაუწყო. ტყის უფროსმა ჯარი დაიბარა.

**მინსკი.** ქალაქის საბჭომ გადასდო ორასი ათასი მანეთი ორი ახალი სკოლის ასაგებად.

**ნოვონიკოლაევსკი.** დაიწყო სამხედრო-საოლქო სასამართლოში პოლკოვნიკ ჩემოდანოვის საქმის გარჩევა, რომელსაც ბრალდება ყალბი ცნობებით სახაზინო ფულის მითვისება. მოწმეა 40 კაცია.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.**

დაიწყო საზაფხულო სეზონი. მაგრამ თუ დრამატიული საზოგადოების გამგეობა ჰფიქრობს საზოგადოების ასეთნაირი წარმოდგენების გამასპინძლებით, როგორც „დღენი ჩვენი ცხოვრებისა", უმჯობესი იქნებოდა, რომ სეზონი სრულებით არ დაწყებულიყო. წარმოდგენა უეჭველია ურეჟისოროდ იყო დადგმული. მოქმედნი პირნიც ალბად შემთხვევით თუ შეიკრიბნენ თეატრში და ისე სახელდახელოდ ითამაშეს. მაგრამ მაშინაც კი შეიძლება იმის ცოდნა რომ მოსკოვში „ტვერის ბულვარში" ისეთი საუცხოვო სამხრეთის ჰავის მცენარეები არ მოიპოვება, როგორიც მეორე მოქმედებაში იყო, რომ ერთი ბოთლი ბენედიქტინის გამოცლის შემდეგ სმის ჩემპიონიც ვერ გაუმაგრდება ფეხზე არამც თუ გალოთებული მეძავი ქალი, რომ ოლ-ოლი სიმძაფრის გამოხატულება კი არ არის არამედ, სუსტი და ჩაგრული ქმნილებაა, რომელიც უკიდურეს ებამდე მიუყვანია აუტანელ მდგომარეობას და შიშითა და ძრწოლით ემუდარება გლუხოვცევს, თავი არ დაანებოს. მეტად მიგვაჩნია რაიმეს თქმა პიესის დადგმაზე და შესრულებაზე. იმედია კვლავ არ განმეორდება ასეთი რამ.

**მელანი.**

**ხარფუხის აუდიტორია.** ხუთშაბათს, 27 თებერვალს, ხარფუხის სექციის სცენის მოყვარეებმა დასდგეს ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი".

ხარფუხის სცენას გამოცდილი და ძველი სცენის მოყვარეები ჰყავს და ამ პიესის შესრულება უფრო უკეთ შეეძლოთ. დაიდგა პირველი და მესამე მოქმედება, მეორე მოქმედება გამოსტოვეს, ალბად სცენის მოუწყობლობის გამო.

სასურველია, რომ პიესები შერჩევით იდგმებოდეს და ხანდიხან კვირაობითაც, რადგან მუშა ხალხი კვირაობით უფრო თავისუფალია. აგრედვე, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს წარმოდგენის მსვლელობის დროს ბანქოს თამაში.

—

**ი. გედევანიშვილის** „სინათლეს" გერმანულად სთარგმნის სტ. არ. მეტრეველი.

—

**ოსური წარმოდგენა.** კვირას, 2 მარტს, სახალხო სახლში ოსური დრამატიული წრე ოსურ ენაზე წარმოადგენს კ. ხეთაგუროვის ოთხ მოქმედებიან კომ. „დუნიას", მ. რამონოვის თარგმანს. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

—

**დ. ლანჩხუთი.** 23 თებ. საქალებო პროგიმნაზ. მასწავლებელთა თაოსნობით ადგილობრივ თეატრში გაიმართა სალიტერატურო საღამო. ეს საღამო ნამდვილი დღესასწაული იყო როგორც ხსენებულ სასწავლ. აგრედვე მთელი ლანჩხუთელებისთვის.

საღამოს პროგრამა შინაარსიანი გამოდგა. მოწაფეებმა წარმოადგინეს ილ. ჭავჭავაძის „დედა და შვილი". ერთიც ვოდევილი მოწაფეთა ცხოვრებიდან. იყო სიმღერა, დეკლამაცია და ცოცხალი სურათები.

12 წლ. ქალის თამაშმა მთლიანი სურათი დაგვიყენა თვალწინ ქართველი დედისა. სიმღერამ, დეკლამაციამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა. ასეთ სალიტერატურო საღამოებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით თუ ასეთი საღამოების პროგრამა ხალხისთვის მისაწვდომია. ხსენებულ საღამომ სრულიად მიაღწია მიზანს.

მადლობის ღირსია, როგორც სასწავლებლის კორპორაცია, აგრედვე ბ. კალ. ქადეიტი, რომელიც ხელმძღვანელობდა მომღერალთა გუნდს და უნაკლოდ შეასრულა რამოდენიმე სიმღერა. ვუსურვოთ ლანჩხ. საქალ. სასწ. აყვავება, რომ მოგვცეს ისეთი თავგანწირული ქალები, რომელიც დაგვისურათხატა ცინცაძის პატარა ასულმა. **—ტო.**

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! სახალხო გაზეთში წავიკითხეთ ფრიად უსიამოვნო ამბავი დაბა ცხინვალიდან, რომელიც შეეხება უზრდელს ჩ. კასრაძეს (თუ შეიძლება ასე დავასახელოთ, რადგანაც იგი სხვა სახელის ღირსი არ არის) რომელსაც შეურაცყოფა მიუყენებია სიტყვით, გორისა და ცხინვალის მიმავალ გზაზე, კნ. ე. ავალიშვილისათვის. ამ საქციელმა აღელვა არა ერთი და ორი ქალი არამედ მთელ ქალთა საზოგადოება. როგორც ქალებს, არ შეგვიძლიან გადაუხადოთ ის საზიზღარი საქციელი ფიზიკურ სასჯელით, ამიტომ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უცხადებთ ზიზღს ჩიტო კასრაძეს და მის დანარჩენ ამხანაგებს პირუტყულ საქციელისთვის.

დაბა ცხინვალი. **ერთი ქალთაგანი.**

რედაქტორი **ნ. ჟორდანიაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჟაჟანაშვილი.**

## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** ..., 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.


## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

**დილით:**

„606" და „914"

11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასარიანცი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ზ. თ. ბ ხანახოვი: 10—11 ს. საბავშვო, ქალებისა და ბავშვებისა.

ვ. ე. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. გ. აგვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი თ. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.

**საღამოთი:**

მ. გ. აგვეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

1071

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე.**

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9½—2 ს., საღ. 5—7 ს.

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511


## ტფ. მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისი

აუწყებს ქ. ტფილისის მდაბიო მოქალაქეებს:

1) ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა საზოგადოების **რწმუნებულთა** (დეპუტატების) სამის წლით (1914—1916 წ.) **არჩევა,** რიცხვით 100 კაცისა, რწმუნებულთა ამ წლის 24 იანვარს მომხდარ და ტფილისის გუბერნატორის მიერ დამტკიცებულ დადგენილების თანახმად, **მოხდება უბან და უბან:** **1 უბანში** შედიან მდაბიო მოქალაქენი 1, 2 და მე-3 საპოლიციო უბნისა. **მე-2-ში**—4, 5 და მე-6 საპოლიციო უბნისა. **მე-3-ში**—7, 8 და მე-9 საპ. უბანისა, **მე-4-ში**—10, 11 და მე-12 საპოლიც. უბანისა. ამასთანავე ასარჩევი 100 რწმუნებული ასე ნაწილდება: 1 უბანი ირჩევს 18 რწმუნებულს, მე-2—28 რწმუნებულს, მე-3—32-ს, მე-4—22 რწმუნ.

2) ეს **არჩევნები მოხდება** მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისის თავმჯდომარეობით, **ყოველ უბნისა ცალკე, მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოს დარბაზში** (დიდი მთავრის ქუჩა № 17), დილის 10 საათიდან **შემდეგ კვირა დღეებში:** I უბანში—(1, 2 და 3 საპ. უბ.—18 რწმ.)—9 მარტს. II უბანში—(4, 5 და 6 საპ. უბ.—28 რწმუნ.)—16 მარტს. III უბანში—(7, 8 და მე-9 საპ. უბ.—32)—23 მარტს. და IV უბ. (10, 11 და მე-12 საპ. უბ.—22 რწმ.) 30 მარტს.

აუწყებს რა მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისი, სთხოვს ქ. ტფილისის მდაბიო მოქალაქეთ, რომელთაც კანონიერი ხმა აქვთ ზემო აღნიშნულ არჩევნებში მონაწილეობისა, მონაწილეობა მიიღონ **საუბანო არჩევნებში იმის მიხედვით, თუ ვინ სად ბინადრობს,** რისთვისაც სთხოვს, რაც შეიძლება დროიანად, **არჩევნებამდე ორი დღის წინ მაინც,** შეიძინონ შესასვლელი ბილეთები, ურომლისოდაც არჩევნების დარბაზში არავის შეუშვებენ. საარჩევნო კრებაზე შესასვლელ ბილეთებს იძლევიან მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოში ყოველ დღე, ამ წლის 3 მარტიდან დაწყებული, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმის გარდა.

ამასთანავე მდაბიო მოქალაქეთ აფრთხილებთ, რომ საარჩევნო კრებაზე მონაწილეობის მიღება კანონით ეკრძალებათ: ა) 25 წლისაზე ნაკლებთ, ბ) იმ პირთ, რომელთა სასჯ. დებულ. მე-582 მუხლის მე-15 დამატებით ეზღუდებათ უფლებანი, (კან. დებ. 1 ტომ., 1 კრებ. გამოც. 1889 წ.), გ) იმ პირთ, რომელნიც აქამომდე კამერალურ აღწერაში ან მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოს სიაში უწყებულის წესით არ არიან შეტანილი. 1091


## სანერგე ამერიკულ ვაზისა „კლდ-ეზურული" ქუთაისში

მუდამ რჩევას იძლევა ამა თუ იმ ნიადაგის შესაფერ ნერგის არჩევაში და მევენახეებს აფრთხილებს, რათა არ იხმარონ ნერგი **რეპესტრისი,** რომელიც ცუდად ხეირობს, მდარე ღვინოს იძლევა და ყველა სხვა დასამყნობ ნერგებზე უფრო მეტად სნეულდება სოკოს ავადმყოფობით.

**მუდამ მზადდება გასასყიდად**

წოლიკაური, კრახუნა, ციცკა, მწვანე, რქა-წითელი, საფერავი, ოცხანური და მრავალი სხვა ადგილობრივი და ევროპიული ჯიშის ნერგი (აგრედვე პირდაპირი მომშენებელი გიბრიდი) სხვა და სხვა ნიადაგისათვის შესაფერ ძირზე ნამყნობი. სხვა და სხვა ჯიშის ვაზი ნერგი 1000 ცალი 65 მან. ღირს. პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება. 113

თევზის მრეწველნი **ძმ. მეგველოვები.**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.**

**იყიდება იმავე ხარისხის საქონელი,**

**როგორც პუშკინის ქუჩაზე.**

1081